



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინადო ჯოვანი ტომაზო



ჯოვანი ტომაზო მინადოი

მინადო ჯოვანი ტომაზო (Minadoi Giovanni Tomaso) (დაახლ. 1549, ფერარა, – 29. V. 1615, ფლორენცია), ექიმი. მიღებული ჰქონდა მედიცინის დოქტორის ხარისხი პადუას უნივერსიტეტში (იტალია, 1576), მუშაობდა ექიმად როვიგოსა და ვენეციაში, 1578–86 – ალექსანდრე II-ის კონსტანტინოპოლში ვენეციის საკონსულოში. მისი თხზულება „სპარსელებსა და თურქებს შორის წარმოებულ ომის ისტორია“ (Histoia della guerra fra Turchi et Persiani, Venecia, 1588) შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს 1578–90 ირან-ოსმალეთის ომისა და საქართველოზე წარმოებულ ბრძოლების შესახებ. ომის მსვლელობისას მ. ალექსანდრე II-ის ცხოვრობდა და თავისი პროფესიიდან გამომდინარე, გაეცნო ქართველებსაც. ნაშრომში ვრცლადაა აღწერილი საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა, ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ, სიმონ I-ის საგმირო საქმეები, უთანხმოება სიმონსა და მის ძმას დავითს (იხ. დავით XI) შორის, დავითის გამაჰმადიანება, ყიზილბაშების მიერ სიმონის დატყვევება ალაშუთის (მ-ის მიხედვით კაჰკაჰე) ციხეში (1569–78), მისი ურთიერთობა ისმაილ-მირზასთან (შაჰ ისმაილ II 1576–77) და სხვ. აგრეთვე მოგვითხრობს ოსმალების ურთიერთობაზე კახეთის მეფე ალექსანდრე II-თან. მ-ის ცნობით, კახეთის სამეფოსთან, რ-იც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდა, ურთიერთობის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმ. სახელმწიფოსათვის. მისივე ცნობით ოსმალებთან საქმის მოგვარებას ხელი შეუწყო ალექსანდრე II-ის გაფუჭებულმა ურთიერთობამ შაჰ თამაზთან, რ-საც მისი გამაჰმადიანებული ძმის, იესეს გამეფება სურდა.

მ. აღწერს დედისიმედის (ქაიხოსრო II ჯაყელის მეუღლე) მუსტაფა ლალა ფაშასთან ბანაკში მისვლის ამბავს. დედისიმედმა მას ძღვენი მიართვა, მორჩილება გამოუცხადა და უფროსი ვაჟი ალექსანდრე (იგივე ყვარყვარე) მძევლად დაუტოვა (უმცროსი მანუჩარი უკვე ლალა-ფაშასთან იყო); მ. მოგვითხრობს იმ ზეიმის შესახებ, რაც მოუწვევს ბანაკში მისულ მანუჩარს (ლალა ფაშამ მას აწყურის სანჯაყი უბოძა) და მის თანმხლებთ; მანუჩარის მიერ სარწმუნოების შეცვლასა და მუსტაფად წოდებაზე, მისი ოსმალთა სარდალ მეჰმედ ფაშასთან ურთიერთობაზე, რ-მაც სპარსელებთან განცდილი მარცხის ქართველებისათვის დაბრალება სცადა. ამას მანუჩარისა და მისი ერთგული თანამებრძოლებისაგან მეჰმედ ფაშას მკვლელობა მოჰყვა. მოგვითხრობს ასევე სამცხეში მანუჩარის მიერ მოწყობილ აჯანყებაზე – მან უარყო მაჰმადიანობა და თავი მანუჩარ II ათაბაგად გამოაცხადა. აჯანყება იმდენად სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ოსმალთა ყოფნას სამცხეში, რომ საბოლოოდ სულთანმა დათმობა არჩია.

ლიტ.: თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 1577-1581, იტალიურიდან თარგმნა ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1987; მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს), თბ., 2009; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII სს, თბ., 1971.

ე. მამისთვალიშვილი
